საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1092/01
10/02/2021

1092-01-2-202102101143

შპს „მ.გ.ტ.“-ს დირექტორს
ბატონ დავით ჩიხლაძეს
მის: ქ. ჭიათურა, წერეთლის ქ. N1
ელ ფოსტა: chikhladzedavit@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 26 იანვრის №795 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ჭიათურაში, შპს ,,მ.გ.ტ."-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე სამინისტროს მიერ 2020 წლის 7 დეკემბრის N11514/01 წერილით მოთხოვნილი დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენას და გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, „საწარმოს ტექნოლოგია იძლევა შესაძლებლობას საათში 10 მ^3-ის ნაცვლად, გაამდიდროს 35 მ^3 მანგანუმის მადანი. წარმადობის გაზრდასთან ერთად შეიცვლება საწარმოს ფუნქციონირების გრაფიკი, საწარმო წელიწადში იმუშავებს დაახლოებით 343 დღე, 6 დღიანი სამუშაო კვირით და დღეში 8 საათიანი გრაფიკით (2744 სთ/წელ): 343*8*35= 96000 ტ/წელ“. **გაცნობებთ, რომ აღნიშნულ გაანგარიშებაში არ არის გათვალისწინებული მანგანუმის მადნის კუთრი წონა (საშუალოდ 1,8 ტ/მ^3), რაც დასაზუსტებელია.** აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, კორექტირებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნიკური წყლის საათობრივი/წლიური ხარჯი და გზშ-ის ანგარიშში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ქვეთავში 5.2.1 და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში წარმოდგენილი მონაცემები საწარმოს სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებით. დამატებით გაცნობებთ, რომ შპს ,,მ.გ.ტ”-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების პროექტზე 2019 წლის 25 ნოემბერს გაცემული N123 სკოპინგის დასკვნის მიხედვით (მინისტრის ბრძანება N2-1157; 27/11/2019), საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენდა წელიწადში 330 დღეს, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ამასთან გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი (მოქმედების ვადით 2021-2026).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „მ.გ.ტ“ უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი/განახლებული დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას, ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე